

NOVARTIS

მოხმარების ინსტრუქცია

SIMULECT 20 მგ-იანი საინფუზიო ან საინექციო ხსნარის ფხვნილი და გამხსნელი სტერილური

გამოიყენება ვენაში შეყვანის გზით

ეფექტური ნივთიერება: შეიცავს 20 მილილიტრიან 1 ფლაკონ ბასილიქსიმაბს.

დამხმარე ნივთიერებები: კალიუმის დიჰიდროფოსფატი, უწყლო დინატრიუმ ფოსფატი, საქაროზა, მანიტოლი, გლიცინი საინექციო სითხე.

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს SIMULECT და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება SIMULECT-ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ SIMULECT?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. SIMULECT-ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს SIMULECT და რისთვის გამოიყენება?

SIMULECT წარმოადგენს ვენაში შეყვანის ან ინფუზიის გზით გამოსაყენებელ, მინის ფლაკონში მოთავსებულ, გაყინულ და გამომშრალ თეთრი ფერის სტერილურ ფხვნილს. თითო ფლაკონი შეიცავს 20 მილიგრამ ბასილიქსიმაბად წოდებულ ეფექტურ ნივთიერებას. ფლაკონში არსებული ფხვნილის გაზავების შემდეგ, ის ხდება უფერო და გამჭვირვალე. SIMULECT წარმოადგენს იმუნური სისტემაზე გავლენის მომხდენ იმუნოსუპრესორად წოდებულ სამედიცინო პრეპარატს. იმუნურ სისტემაზე გავლენის მომხდენი პრეპარატები (იმუნოსუპრესოები) უზრუნველყოფს „უცზო“ ნივთიერებებზე (მაგალითად, გადანერგილ ორგანოებზე) სხეულის რეაქციის შემცირებას. SIMULECT

აფერხებს თქვენს იმუნურ სისტემაში ისეთი უჯრედების წარმოქმნას, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ გადანერგილ ორგანოებზე და აიძულებენ ორგანიზმს მათ უარყოფას. SIMULECT ეწებება ლიმფოციტებად წოდებულ სისხლის გარკვეულ თეთრ უჯრედებს. ეს განსაკუთრებული ლიმფოციტები წარმოადგენს უარყოფის რეაქციის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი როლის მქონე უჯრედებს.

SIMULECT გამოიყენება თირკმელ გადანერგილი მოზარდებისათვის, ზრდასრული პაციენტებისათვის და ბავშვებისათვის. აღნიშნული პრეპარატი ხელს უწყობს თირკმელის მიუღებლობის ალბათობის არსების პერიოდში (თირკმლის გადანერგვიდან პირველ 4-6 კვირაში) გადანერგილი თირკმელის მიუღებლობის პრევენციას. ზემოთ აღნიშნული ვადის განმავლობაში ახალი თირკმლის დაცვის უზრუნველსაყოფად, საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ თქვენთვის საჭირო გახდება სხვა პრეპარატების (მაგალითად, მიკროემულსიური ციკლოსპირინი) შეყვანა და ზოგიერთი პრეპარატების მიღება. SIMULECT-ის შეყვანა განხორციელდება მხოლოდ გადანერგვის ოპერაციის ჩატარებამდე.

2. SIMULECT-ის მოხმარებამდე დასაცავი წესები:

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში SIMULECT-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული:
ზოგადად:

- იმ შემთხვევაში, თუ ადრე გქონდათ ჰიპერმგრძნობელობა (კანზე გამონაყარის ან ალერგიული რეაქციის მაგვარი) ბასილიქსამაბის (SIMULECT-ის ეფექტური ნივთიერების) ან SIMULECT-ის წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციის თავში აღნიშნული ნებისმიერი დამხმარე ნივთიერების მიმართ, ან თუ წარსულში გქონდათ ეჭვი ნებისმიერი ზემოაღნიშნული კომპონენტის მიმართ ალერგიული რეაქციის წარმოქმნაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ ან ხართ მეძუძური დედა.

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში SIMULECT-ის დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა:

- ადრე ხანმოკლე დროის შემდეგ გადანერგვის წარუმატებლად ჩატარების შემთხვევაში;
- გადანერგვის ჩატარების მიზნით ადრე საოპერაციო ბლოკში მოხვედრის და ოპერაცის არ ჩატარების შემთხვევაში;
- ბასილიქსიმაბის, დაკლიზუმაბის ან სხვა მონოკლანური ანტისხეულების მიღების შედეგად არასასურველი რეაქციების წარმოქმნის შემთხვევაში, ასეთი პაციენტებისათვის საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა.

- ბასილიქსიმაბი გამოიყენება მხოლოდ სხვა იმუნოსუპრესანტებთან (ციკლოსპირინის კორტიკოსტეროიდებთან) ერთად. ასეთი აგენტების მიღების არასასურველი შემთხვევები აგრეთვე ძალაშია ბასილუქსიმაბის მოხმარების დროს;
- SIMULECT-ის რეცეპტით გამოწერის შემთხვევაში, საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელია SIMULECT-ის გამოწერა.
თქვენმა მკურნალმა ექიმმა უნდა შეამოწმოს თქვენი მდგომარეობა და ამის შემდეგ გადაწყვიტოს თქვენთვის SIMULECT-ის ხელახლა დანიშვნის საკითხი.
თქვენს მკურნალ ექიმს უნდა მოახსენოთ თქვენი თირკმელების მდგომარეობის და სხვა დაავადებების შესახებ.

თუ ეს გაფრთხილებები წარსულშიც ძალაში იყო თქვენთვის, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

SIMULECT-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება:
არ არის ძალაში მისი მოხმარების მეთოდის გამო.

ფეხმძიმობა:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ ან გეგმავთ ფეხმძიმედ დარჩენას, თირკმლის გადანერგვამდე ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს. თუ ხართ ფეხმძიმედ SIMULECT-ის მიღება არ არის რეკომენდირებული.

ფეხმძიმობის პრევენციისათვის საჭიროა სათანადო ჩასახვის საწინააღმდეგო მეთოდების გამოყენება და SIMULECT-ის ბოლო დოზის მიღებიდან 4 თვის განმავლობაში მისი მიღების გაგრძელება.
თუ მკურნალობის ჩატარების პერიოდში თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
ბავშვის ძუძუთი კვების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

SIMULECT-ის ეფექტური ნივთიერება - ბასილიქსიმაბი აღწევს დედის რძეში და SIMULECT-ის მიღების შემდეგ ან ბოლო დოზის მიღებიდან 4 თვის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოთ ბავშვის ძუძუთი კვებაზე.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება:
SIMULECT-ის მოხმარება არანაირ გავლენას არ ახდენს მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების უნარზე.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია SIMULECT-ის შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ:
აღნიშნული პრეპარატი არ შეიცავს არანაირ საშიშ
დამხმარ ნივთიერებას.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება:
SIMULECT-ის სხვა პრეპარატებთან ერთად ეფექტის მოხდენის ფორმის შეცვლა დაუშვებელია, იგივე წესი ძალაშია სხვა პრეპარატების მიერ SIMULECT-ის ეფექტის მოხდენის ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით.
ექინეზიასთან და ტაკროლიმუსთან ერთად SIMULECT-ის მიღების შემთხვევაში, საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა.

ამჟამად ნებისმიერი პრეპარატის რეცეპტით ან რეცეპტის გარეშე მიღების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

3. SIMULECT-ის მოხმარების წესი:
ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ:
თქვენთვის ჩვეულებრივად გამოწერილი იქნება SIMULECT-ის ორი დოზა. თირკმლის გადანერგვის დაწყებამდე თქვენთვის გადასხმული იქნება SIMULECT-ის ორი დოზა, ოპერაციის შემდეგ კი პრეპარატის 4 დოზა. SIMULECT-ის ვენაში გადასხმის საჭიროების შემთხვევაში, გადასხმის პროცედურა უნდა განხორციელდეს თქვენი მკურნალი ექიმის ან ექთნის მიერ.
მოზარდებისათვის ან 35 კილოგრამზე მეტი წონის მქონე ბავშვებისა და ზრდასრული პაციენტებისათვის ყოველ გადასხმაზე საჭიროა SIMULECT-ის 20 მილიგრამიანი დოზის გადასხმა.
SIMULECT-ის მიმართ გაქვთ ძლიერი ალერგიული რეაქციის წარმოქმნის ან ოპერაციის შემდეგ ტრანსპლანტატის დაკარგვის მაგვარი გართულების წარმოქმნის შემთხვევაში, (დაავადებასთან ერთად წარმოქმნილი ჩვენებები), თქვენთვის SIMULECT-ის მეორე დოზის შეყვანა დაუშვებელია.

მოხმარების ხერხი და მეთოდი:
ამ პრეპარატის შეყვანა უნდა განხორციელდეს შპრიცის მეშვეობით 20-30 წუთის განმავლობაში პრეპარატის ნელ-ნელა შეყვანის გზით.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები:
ბავშვებში მოხმარება:
SIMULECT-ის მოხმარება დასაშვებია ბავშვებისათვის და ზრდასრული (1-დან 17 წლამდე ასაკის) პაციენტებისათვის. 35 კილოგრამზე მეტი წონის მქონე ბავშვებისათვის და ზრდასრული პაციენტებისათვის საჭიროა უფრო მცირე დოზის შეყვანა. 35 კილოგრამზე ნაკლები წონის მქონე ბავშვებისათვის და ზრდასრული პაციენტებისათვის ყოველ გადასხმაზე SIMULECT-ის დასაშვები დოზა შეადგენს 10 მილიგრამს.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:
SIMULECT-ის გადასხმა დასაშვებია ხანდაზმული (65 წლის და მეტი ასაკის მქონე) პაციენტებისათვის. SIMULECT-ის მოხმარებასთან დაკავშირებული კვლევები დღემდე არ ჩატარებულა და ხანდაზმული პირებისათვის ამ პრეპარატის მოხმარებასთან დაკავშირებული რაიმე უსაფრთხოების ზომები არ არის დადგენილი.

მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:
თირკმელების / ღვიძლის უკმარისობა:
თირკმელების ან ღვიძლის უკმარისობასთან დაკავშირებული მონაცემები არ არსებობს.
თქვენი მკურნალი ექიმის მიერ სხვა პრეპარატის არ დანიშვნის შემთხვევაში, დაიცავით წინბამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში გათვალისწინებული წესები.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეამჩნევთ SIMULECT-ის ძლიერ ან სუსტ მოქმედებას, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ SIMULECT-ს საჭიროზე დიდი დოზით:
თუ თქვენ ღებულობთ SIMULECT-ს საჭიროზე დიდი დოზით, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
SIMULECT-ს დოზის გადაჭარბებასთან დაკავშირებით რაიმე გვერდითი ჩვენებები არ არის მოსალოდნელი, მაგრამ ამ პრეპარატის დოზის გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს იმუნური სისტემის აქტიურობის შემცირების ვადის გაზრდა. თქვენთვის SIMULECT-ს ჭარბი დოზით შეყვანის შემთხვევაში, საჭირო გახდება თქვენი მკურნალი ექიმის მიერ თქვენი იმუნური სისტემის მონიტორინგის ჩატარება და, საჭიროების შემთხვევაში, თქვენთვის საჭირო მკურნალობის ჩატარება.

თუ თქვენ დაგავიწყდათ SIMULECT -ის მიღება:
არ არის ძალაში მისი მოხმარების მეთოდის გამო.

SIMULECT-ით მკურნალობის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი ჩვენებები:
SIMULECT-ის მიღების შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენი დაავადების გამწვავება. თქვენი მკურნალი ექიმის რჩევის გარეშე ამ პრეპარატის მიღების შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?
ისევე, როგორც ყველა წამალი, SIMULECT-ის შემცველობაში არსებული ნივთიერებების მიმართ მგრძნობელობის მქონე ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები.
SIMULECT-ის შეყვანის დროს ან მისი შეყვანიდან 8 კვირის განმავლობაში ნებისმიერი მოულოდნელი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ გექნებათ ეჭვი გვერდითი ჩვენების ამ პრეპარატის მიღებით გამოწვევაზე, უმოკლესის სდორის განმავლობაში ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
გარდა SIMULECT-ისა, დასაშვებია აგრეთვე სხვა პრეპარატის მოხმარება. ამ პრეპარატების მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული გვერდითი ჩვენებები ან თირკმლის გადანერგვის შემდეგ შესაძლებელია თავი შეუძლოდ იგრძნოთ.
SIMULECT-ის მიმღებ პაციენტებში დადგენილი იქნა უცაბედი და მწვავე ალერგიული რეაქციები.

ქვემოთ აღნიშნული ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, უნდა შეწყვიტოთ SIMULECT-ის მიღება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ თქვენს მკურნალ ექიმს ან მიმ ართოთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო განყოფილებას:

- კანზე გამონაყარის, ქავილის ან ჭინჭრის ციების, სახის, ტუჩების და ენის დასივების, გულისცემის რითმის აჩქარების, წონასწორობის დარღვევის და თავბრუსხვევის შეგრძნების, სუნთქვის უკმარისობის, გულის უკმარისობის, სუნთქვის გაძნელების, ცემინების და ხიხინის მაგვარი ალერგიული რეაქციები.
- შარდვის დროს შარდის რაოდენობის მკვეთრი შემცირება.
- სიცხის და გრიპის მაგვარი სიმპტომები.
- სისხლში, სხეულის სითხეში ან ქსოვილებში მიკრობების გამრავლების შედეგად ორგანიზმში დაავადების (სეფსისის) წარმოქმნა.

ყველა ზემოაღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ გვერდით ჩვენებებს. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს სასწრაფო სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

სხვა გვერდითი ჩვენებები:
მოზარდებში საკმაოდ გავრცელებული გვერდითი ჩვენებები (შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე 1-ს):

- კუჭში შეკრულობა;
- გულისრევის შეგრძნება;
- ფაღარათი;
- წონაში მატება;
- თავის ტკივილი;
- -ტკივილები;
- ხელ-ფეხის დასიება;
- მაღალი არტერიული წნევა;
- სისხლნაკლულობა (ანემია);
- სისხლის კომპონენტების (კალიუმის, ქოლესტერინის, ფოსფატის და კრეატინინის) შეცვლა.
- ქირურგიული ან წარმოქმნილი რეაქციები.
- სხვადასხვა სახის ინფექციები (საშარდე გზების ინფექციები და ზედა სასუნთქი გზების ინფექციები).

ბავშვებში ძალიან გავრცელებული გვერდითი ჩვენებები (შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე 1-ს):

- ჭარბად მოხმარება;
- ცხვირიდან გამონადენი ან ცხვირის გაჭედილობა;
- სიცხე;
- მაღალი არტერიული წნევა;
- სხვადასხვა სახის ინფექციები (საშარდე გზების ინფექციები და ზედა სასუნთქი გზების ინფექციები და ვირუსული ინფექციები)|
- კუჭში შეკრულობა;

ყველა ზემოაღნიშნული წარმოადგენს სუსტ გვერდით ჩვენებებს.
არა ხშირი გვერდითი ჩვენებები:

- მუცლის ტკივილი;
- დაღლილობა;
- თავბრუსხვევა;
- უძილობა;
- მწვავე ალერგიული რეაქციები;

- შარდვის დროს ტკივილი;
- კანდიდოზი;
- ხველება;
- სუნთქვის გაძნელება;

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

5. SIMULECT-ის-ის შენახვა:
შეინახეთ SIMULECT ბავშვების ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.
პრეპარატი შეინახეთ მაცივარში 2-8^{0}C-იანი ტემპერატურის პირობებში მაცივარში.
გაზავებული ხსნარის შენახვა დასაშვებია 2-8^{0}C-იანი ტემპერატურის პირობებში 24 საათის განმავლობაში ან ოთახის ტემპერატურის პირობებში 4 საათის განმავლობაში, რეკომენდირებულია შეძლებისდაგვარად პრეპარატის უმოკლესი დროის განმავლობაში მოხმარება.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.
შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ SIMULECT-ის მოხმარება დაუშვებელია.
პროდუქტის და/ან შეფუთვის დაზიანების შემთხვევაში SIMULECT-ის მოხმარება დაუშვებელია.
ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.

ლიცენზიის მფლობელი: სს „ნოვართივსაღლიქ, გიდა ვე თარიმ ურუნლერი სანაი ვე თიჯარეთ“-ი.
ქაბაჯიქი / ბეიქოზი / სტამბოლი.

წარმოების ადგილი: Novartis Pharma Ste'n AG
Schaffahauserstrasse
CH-4332, სტეინი, შვეიცარია

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 14.12.2013 წელს.

ქვემოთ აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია პრეპარატის შემყვანი პერსონალისათვის:

ინფუზიის / საინექციო ხსნარის მოსამზადებლად, წამალთან ერთად არსებული 5 მილილიტრიანი საინექციო ხსნარი შეიყვანეთ შპრიცში და დაამატეთ SIMULECT-ის ფხვნილის შემცველ ფლაკონში.
ნელ-ნელა შეანჯღრიეთ ფლაკონი ფხვნილის გახსნამდე.
გახსნილი ხსნარი გამოყენებული უნდა იქნეს უმოკლესი დროის განმავლობაში მასში ბაქტერიების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და შეინახეთ ხსნარი 2-8^{0}C-იანი ტემპერატურის პირობებში 24 საათის განმავლობაში ან ოთახის ტემპერატურის პირობებში 4 საათის განმავლობაში. გაზავებული ხსნარის 24 საათის განმავლობაში გამოუყენებლობის შემთხვევაში, გადააგდეთ და არ გამოიყენოთ პრეპარატი.
მოსახმარებლად მომზადებული SIMULECT შეიძლება შეყვანილი იქნეს ვენაში ინტრავენური ინფუზიის ან ბოლუსური ინიექციის გზით 20-30 წუთის განმავლობაში. გაზავებული ხსნარი არის იზოტონური. ინფუზიისათვის ვაქცინა შეიძლება გაზავდეს ფიზიოლოგიურ ან 5 %-იან დექსტროზში 50 მილილიტრან ან უფრო დიდი მოცულობის ჭურჭელში. პირველი დოზა შეყვანილი უნდა იქნეს ტრანსპლანტაციის ჩატარებამდე 2 საათის განმავლობაში, მეორე დოზა კი ტრანსპლანტაციიდან 4 დღის შემდეგ. ტრანსპლანტატის დაკარგვის მაგვარი ოპერაციის ჩატარების შემდეგ რაიმე გართულებების წარმოქმნის შემთხვევაში, მეორე დოზის შეყვანა დაუშვებელია.

ვინაიდან SIMULECT-ის სხვა ინტრავენურ პრეპარატებთან ერთად შეყვანასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული, SIMULECT-ის სხვა წამლებთან ნივთიერებებთან შერევა არ არის რეკომენდირებული და ყოველთვის შეყვანილი უნდა იქნეს ცალკე საინფუზიო ხაზის მეშვეობით.